ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4545145

ნომერი: AR1682400

თარიღი : 20.05.2019

გაცემის თარიღი : 13.06.2019

გაცნობის თარიღი : 14.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი N30ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ დემეტრაძე პ/ნ 01010006142
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 15 ბ. 53

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ვექტორ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405165217
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალან ლალიევი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: ო72 9254123

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4463355
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 1.05.2019

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3812416
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 7.02.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-81 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში.
კერძოდ, აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 პუნქტის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4 (ოთხი) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 (ხუთი) ლარს.
გამომდინარე იქიდან, რომ მშენებლობის ნებართვა ვადაგასულია, საჭიროა გადაიხადოთ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის რიცხვითი მნიშვნელობის ოთხმაგი ოდენობით.
2.საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: წარმოდგენილია 2010 წელს შედგენილი საინჟინრო გეოლოგიური კვლევა. საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული დასკვნა, რომელშიც ასევე დაზუსტებული იქნება ჭაბურღილების რაოდენობა.
3.ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: რუკაზე მიმაგრებული ამონაწერის მიხედვით 01.14.02.004.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზეა ობიექტი, ხოლო დასკვნაში მითითებულია 01.14.02.04.011. შესაბამისად განაახლეთ საექსპერტო შეფასების pdf ფაილი;
4.საჯარო რეესტრის ამონაწერში №01.14.02.004.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ვალდებულება, რომლის საფუძველია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2016 წლის 24 ნოემბერს გაცემული N24568 საკუთრების მოწმობა. საკუთრების მოწმობის თანახმად, მყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ხოლო, 2016 წლის 04 ოქტომბერს გაფორმებული №ე---18-20272 ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა №01.14.02.004.036 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გამწვანებისა და კეთილმოწყობის პირობით. მოგვიანებით, მიწის ნაკვეთი გაერთიანდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან და მიენიჭა №01.14.02.004.04 საკადასტრო კოდი. №01.14.02.004.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სამსახურის 2017 წლის 19 დეკემბრის 3741812 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გამწვანების მოწყობას ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც მესაკუთრეს გადაეცა 2016 წლის 04 ოქტომბრის №ე---18-20272 ხელშეკრულების საფუძველზე. ამჟამად, კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში გაუქმებულია გამწვანების ნაწილი, დამატებულია ავტოსადგომი და კიბე. როგორც გეცნობათ, სამსახურმა წერილობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, რომლის, 03/06/2019 წლის №61-01191544062 წერილის თანახმად, 16 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებული Nე-18-20272 ხელშეკრულების შესაბამისად განკარგულ ქონებაზე, მესაკუთრის მიერ, შესაძლებელია მხოლოდ ტერიტორიის გამწვანებასა და კეთილმოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოება. საჭიროა არქიტექტურული პროექტი დაკორექტირდეს აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 30 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.